# ნეოპლატონური თუ არისტოტელური: არაბები და ინდოელები როგორც ფილოსოფიური არსებები შოთა რუსთაველის *ვეფხისტყაოსანში*

**ბერტ ბეინენი**
*ფილადელფია, ამერიკის შეერთებული შტატები*

**რეზიუმე:** ავტორი *ვეფხისტყაოსნის* არაბებისა და ინდოელების საზოგადოებებს განიხილავს როგორც ფილოსოფიურ ინსტიტუტებს ანუ არსებებს (ერთიანობებს) და მათ კავშირს უძებნის დიონისე არეოპაგელის იერარქიული წყობის ადამიანებისა და ცხოველების სტრუქტურებთან, მათ ინტელექტთან. დიონისე თვლის, რომ უზენაესი არსება — ერთი ფლობს ყოვლისმომცველ ინტელექტს. ანგელოზებსაც აქვთ აგრეთვე ასეთი ინტელექტი, მაგრამ მათი ინტელექტი უფრო ნაკლებია ერთის ინტელექტზე. ადამიანებს აქვთ ინტელექტი, რომელიც ნაკლებია ანგელოზების ინტელექტზე. მათ (ადამიანებს) აქვთ დისკურსიული ინტელექტი და ამ მოხსენებაში გამოთქმულია აზრი, რომ დიონისეს ადამიანები შეესაბამებიან რუსთაველის არაბებს, რომელნიც გეგმავენ და მოელიან შედეგებს თავიანთი მოქმედებებიდან.

დიონისეს იერარქიაში ადამიანებზე უფრო დაბლა ცხოველები დგანან. მათ ინტელექტს დიონისე მიიჩნევს გრძნობა-აღქმად. სტატიაში არის ცდა იმის მტკიცებისა, რომ ინდოელები რუსთაველის პოემაში შეესაბამებიან ცხოველებს დიონისეს იერარქიაში: ინდოელები იმპულსურნი არიან და წინასწარ არ ჭვრეტენ თავიანთი მოქმედების შედეგებს. დიონისე აღნიშნავს, რომ არსებებს შეუძლიათ მოძრაობა ანგელოზებს, ადამიანებს და ცხოველებს შორის. მაგალითად, ადამიანს შეუძლია შეიძინოს ანგელოზისმაგვარი ინტელექტი ფილოსოფიური მეცადინეობის მეშვეობით. ასევე, ცხოველთა მსგავს არსებებს შეუძლიათ შეიძინონ ადამიანის ინტელექტი. სწორედ ეს ემართება ტარიელს: პოემის დასაწყისში იგი იმპულსური ინდოელია, მაგრამ დასასრულს იგი გადადის დიონისეს ადამიანთა კლასში. ამას ადასტურებს მის მიერ ავთანდილზე უკეთესი გეგმის შეთავაზება ნესტან-დარეჯანის გასათავისუფლებლად.

**საკვანძო სიტყვები:** *ვეფხისტყაოსანი, ნეოპლატონიზმი, პლოტინი, ტარიელი, ავთანდილი.*

**შესავალი.** შოთა რუსთაველის დაახლოებით 6300 სტრიქონიანი ეპიკური პოემა *ვეფხისტყაოსანი* დაიწერა ჩვ. წ. აღ-ის დაახლოებით 1200 წელს., საქართველოში. ქართული სათაურის *ვეფხისტყაოსნის* სიტყვა–სიტყვითი თარგმანი არის „ლეოპარდის ტყავში". ყველა ინგლისური თარგმანი „ვეფხვს" თარგმნის „პანტერად" (ლეოპარდი), ხოლო მისი თანამედროვე მნიშვნელობა არის „ვეფხვი". წინამდებარე სტატიაში ჩვენ გავყვებით აბაევის მითითებას, რომ მისი ძველი ქართული მნიშვნელობა იყო „ლეოპარდი" [1, გვ. 311]. პოეტის შესახებ ჩვენი ცოდნა მწირია. პირველი შეხედვით, პოემა კურტუაზული ლიტერატურის აშკარა ნაწარმოებია: პრინცესა, რომელიც მალე დედოფალი უნდა გახდეს, გზავნის თავის წარჩინებულ შეყვარებულს უცნობის მოსაძებნად. იგი ამ ამოცანას ასრულებს. ქართველი მეცნიერები, მაგალითად მ. ელბაქიძე, ეჭვს გამოთქვამენ *ვეფხისტყაოსნის* კურტუაზული ბუნების თაობაზე [7].

კურტუაზული ლიტერატურა წარმოიშვა სამხრეთ საფრანგეთში XI საუკუნეში; მისი წარმომავლობა ნათელი არაა. მის წყაროებად სახელდებოდა: არაბული ლიტერატურა [12, გვ. 11], პლატონი [12, გვ. 5], კათარები [13, გვ. 106-109], მარიამის ქრისტიანული თაყვანისცემა [12, გვ. 8] და ოვიდიუსი [12, გვ. 5]; მაგრამ მისი წარმოშობის საკითხი გადაუჭრელი რჩება. შესაძლო წყაროების ფართო ნაირსახეობის პირობებში არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, საქმე დერივაციულ კავშირებთან გვაქვს, თუ საერთო კულტურული წარსულიდან მომდინარე მსგავსებებთან. წინამდებარე სტატია აანალიზებს ერთ ნიშან–თვისებას, რომელსაც ვპოულობთ როგორც *ვეფხისტყაოსანში*, ისე ნეოპლატონიზმში: კლასიფიკაციას ზოგიერთი ხალხისა ჰუმანურებად და სხვების ცხოველებად.

**ნეოპლატონური ელემენტები *ვეფხისტყაოსანში*.** რამდენიმე ავტორმა მიუთითა ნეოპლატონურ გავლენაზე *ვეფხისტყაოსანში* [20, გვ. 8; 18, გვ. 22; 15, გვ. 77]. ამ გავლენას იშვიათად აკონკრეტებენ, მაგრამ ადვილად შეიძლება შევნიშნოთ: ჯერ ერთი, *ვეფხისტყაოსანში* ვპოულობთ

ნეოპლატონურ შეხედულებას ცალმხრივი გავლენის, ანუ იდეების გადაცემის შესახებ: უმაღლესი არსება იერარქიაში გავლენას ახდენს უფრო ქვედა საფეხურზე მდგომ არსებაზე, მაგრამ პირიქით არასოდეს. მაგალითად, თინათინი გავლენას ახდენს ავთანდილზე, და უფრო გვიან ავთანდილი გავლენას ახდენს ტარიელზე უკუკავშირის გარეშე. ავთანდილი ასრულებს თინათინის დავალებებს და ტარიელი არ ეწინააღმდეგება არაფერს, რასაც ავთანდილი ეუბნება. მეორეც, პოემაში აგრეთვე ვხედავთ ნეოპლატონიზმისათვის ტიპურ იერარქიას: თინათინი ავთანდილზე მაღლა დგას, როგორც სოციალურიად, ისე ინტელექტუალურად და, ამის მსგავსად, ავთანდილი სოციალურადაც და ინტელექტუალურადაც მაღლა დგას ტარიელზე.

თუმცა, პოემის შუაგზაზე ვხედავთ, რომ ეს მდგომარეობა იცვლება: ჯერ ავთანდილი და შემდეგ ტარიელი გამოავლენენ უკუკავშირს: ისინი იძლევიან იმაზე უკეთეს ალტერნატივებს, რაც მათ შესთავაზეს. პოემის მეორე ნაწილში, როგორც ტარიელი, ისე ავთანდილი ადასტურებენ, რომ ისინი უკვე არ არიან ინტელექტუალურად ან სოციალურად უფრო დაბლა თინათინსა და ტარიელზე. აქედან ჩანს, რომ მსგავსება *ვეფხისტყაოსანსა* და ნეოპლატონიზმს შორის არის *ვეფხისტყაოსანის* მხოლოდ პირველ ნაწილში.

იდეების ცალმხრივი გადაცემის ტიპურად ნეოპლატონური წესი პოემის პირველ ნაწილში უკვე განვიხილეთ სხვა სტატიაში [4]. წინამდებარე სტატიის საგანი იქნება გონებრივი აქტივობა, ე.ი. განსჯისა და აზროვნების განსხვავებული ტიპები, რომელსაც ვპოულობთ *ვეფხისტყაოსანში* და აგრეთვე ამ ტიპებთან დაკავშირებულ ხალხებში, რადგან შოთა მიუთითებს, რომ ისინი მნიშვნელოვანნი არიან. საქმე ისაა, რომ *ვეფხისტყაოსანში* ვხვდებით სიმეტრიულად კონტრასტულ წყვილებს და მათ არსებობას მივიჩნევთ იმაზე მინიშნებად, რომ ამ წყვილთა წევრები მნიშვნელოვანია. მაგალითად, *ვეფხისტყაოსანში* ტახტიდან გადადგომა დასტურდება: მეფე როსტევანისა და მეფე სარიდანისა. მიგვაჩნია, რომ ამგვარი წყვილის არსებობას თავისი დატვირთვა აქვს, რაც სათანადო ანალიზს საჭიროებს [5, გვ. 151]. ამის ანალოგიურად,პოემაში აღწერილია ორი სახის მკვლელობა დაუცველი მოწინააღმდეგისა და ვვარაუდობთ,

რომ ეს მნიშვნელოვანია და ანალიზს მოითხოვს [3, გვ. 221]. აქედან გამომდინარე, ეს სტატია შეეხება გონებრივი აქტივობის ორ სახეობას და ვვარაუდობთ, რომ ეს მნიშვნელოვანია და სათანადო ანალიზს მოითხოვს.

**განსჯა და აზროვნება *ვეფხისტყაოსანში.*** გონებრივი აქტივობის ეს ორი ტიპია - განსჯა და აზროვნება, ერთი მხრივ, ინდოელებისა, რომელნიც იმპულსურად იქცევიან და, მეორე მხრივ, არაბებისა, რომლებიც წინასწარ განჭვრეტენ თავიანთი ქმედებების შედეგებს. ვვარაუდობთ, რომ შოთა ამ ორ სახეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან მან ისინი მოათავსა სიმეტრიულად კონტრასტულ წყვილებში - მსგავსად ტახტიდან ორი გადადგომისა და დაუცველი მოწინააღმდეგის მკვლელობებისა. ამასთანავე, გონებრივი აქტივობის თითოეული ტიპი დაკავშირებულია არა ინდივიდებთან, არამედ ხალხებთან - ინდოელებთან და არაბებთან. ეს კი, ჩვენი ვარაუდით, წარმოადგენს შოთას მეთოდს, ხაზი გაუსვას ორივე ტიპის მნიშვნელობას და წარმოაჩინოს ისინი.

ინდოელების გონებრივი ქმედება იმპულსურ მოქმედებებს წარმოადგენს: მეფე სარიდანი თმობს თავის სამეფოს და არ ფიქრობს იმაზე, რომ მისი შვილი აღარ იქნება ხელმწიფე და უფრო გაუჭირდება ქორწინების პარტნიორის მოძებნა, იმასთან შედარებით, მეფედ რომ დარჩენილიყო. ასევე, მეფე ფარსადანი იშვილებს ტარიელს იმაზე დაუფიქრებლად, რომ უშვილო ცოლქმრობა შეიძლება შვილიანი გახდეს და რომ შეიძლება აღმოჩნდეს ორი პრეტენდენტი ინდოეთის ტახტზე. მოგვიანებით, ნესტან–დარეჯანი უბრძანებს ტარიელს, მოკლას ხვარაზმის პრინცი, და არ უფიქრდება შედეგად მიღებულ ქაოსს. მეფე სარიდანის გადადგომა განსხვავდება იმ მეთოდისაგან, რომლითაც არაბეთის მეფე როსტევანი აგვარებს თავის მემკვიდრეობას: ანაქრონისტულად თუ ვიტყვით, იგი ატარებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას და ეკითხება თავის ვეზირებს, მათი აზრით როგორი აღმოჩნდება მის მიერ შეთავაზებული მემკვიდრეობის შედეგები. ხვარაზმშას შვილის მკვლელობა გვაძლევს ყურადსაღებ კონტრასტს ავთანდილის მიერ გულანშაროს მეფის მოხელის – ჭაშნაგირის მკვლელობასთან: ორივე შემთხვევაში კლავენ მძინარე, ან

თითქმის მძინარე მოწინააღმდეგეს, მაგრამ იმ დროს როცა ტარიელი ამას აკეთებს დაუფიქრებლად და კატასტროფული შედეგებით, ავთანდილს მკვლელობა შერჩება იმის გამო, რომ მისი ქმედება მიმართულია ფატმანის ეფექტურად დაცვისაკენ, მისგან ნესტან–დარეჯანის ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების მოსაპოვებლად. ავთანდილის მიერ ჩადენილი მკვლელობა რაციონალურია, ხოლო ტარიელისა იმპულსურია. იგი არ უფიქრდება შედეგებს.

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდოელები უგულებელყოფენ მიზეზობრივ კავშირებს მოვლენებს შორის: ისინი თითქოს ვერ ხვდებიან, რომ მოვლენებს შედეგები ახლავს. არაბების თათბირი და განსჯა იშვიათად არის აღწერილი, მაგრამ იგი იგულისხმება წარმატებული შედეგებიდან, ეს შედეგები მიუთითებს გულდასმით ჩატარებულ განსჯაზე.

არსებობს ერთი დიდი გამონაკლისი ინდოელთა წარუმატებელი მოქმედებების მოდელიდან: პოემის ბოლოს ინდოეთის პრინცი ტარიელი წამოაყენებს ყველაზე უკეთეს გეგმას ნესტან–დარეჯანის გასათავისუფლებლად. ჩვენ ამ გამონაკლისს დავუბრუნდებით ნეოპლატონური აქტივობის განხილვის ბოლოს.

**განსჯა და აზროვნება ნეოპლატონიზმში.** სტატიის ამ ნაწილში ჩვენ ვიმსჯელებთ ოთხი ნეოპლატონური არსების გონებრივ აქტივობაზე. ესენია: სამი ჰიპოსტასი და ცხოველები. კიდევ სამი არსება – ცოცხალი ქმნილებები ანუ მცენარეები, ქმნილებები ანუ უსიცოცხლო ობიექტები და არა–ქმნილებები ანუ მატერია - არაცნობიერნი არიან: ისინი არ ფიქრობენ, არც შეიმეცნებენ [14, გვ. 66]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არსებები განლაგებული არიან უცვლელი იერარქიით. პირველი სამი იერარქიაში - ერთი, გონი და სული, წარმოადგენენ ე.წ. ჰიპოსტასებს. ეს ჰიპოსტასები შემდეგნაირად არიან ურთიერთდაკავშირებული: ერთი არსებობს დამოუკიდებლად, მაგრამ გააჩნია ჭარბი სიკეთე, და ეს სიკეთე იწვევს მეორე ჰიპოსტასის – გონის არსებობას. შემდეგ, გონი, ასევე ჭარბი სიკეთის გამო, იწვევს სულის არსებობას. სული იმავე გზით იწვევს ცხოველების არსებობას, რომელნიც არ წამოადგენენ ჰიპოსტასს, მაგრამ არიან ნეოპლატონური რეალობა. თითოეულ ამ ჰიპოსტასსა და

რეალობას – აქვს უნიკალური გონებრივი აქტივობა, რასაც ჩვენ ქვემოთ შევაჯამებთ ისე, როგორც ეს განწესებული აქვს ფსევდო დიონისე არეოპაგელს (შემდგომში: დიონისე) [14, გვ. 66].

პირველმა ჰიპოსტასმა – ერთმა ანუ სიკეთემ – იცის ყველაფერი, რადგან მან შექმნა ყველაფერი. მას, შეიძლება ითქვას, აქვს შემოქმედებითი (კრეატიული) ცოდნა. შემდეგ არის გონი, რომელმაც აგრეთვე იცის, მხოლოდ არა კრეატიულად. მაინც, შეიძლება ვთქვათ, რომ გონს აქვს შინაგანი ანუ აპრიორული ცოდნა ყველაფრისა. პლოტინი ასწავლიდა, რომ გონი შედგება ფორმებისაგან [19, გვ. 54]. ნეოპლატონიზმის ათენური სკოლის ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ ბერძენი და აღმოსავლური ღმერთები შეადგენენ გონს [19, გვ. 133-43, 147], ხოლო დიონისეს მიაჩნდა, რომ გონი შედგებოდა ანგელოზებისაგან [14, გვ. 65]. მესამე ჰიპოსტასი – სული შედგება ადამიანებისაგან, რომელნიც ფიქრობენ დისკურსიულად ანუ ლოგიკურად; მაგალითად არისტოტელეს ლოგიკის წესების მიხედვით. ისინი ფიქრობენ წანამძღვრების, არგუმენტების, დასკვნების, მიზეზებისა და შედეგების ცნებებით. ყოველ შემთხვევაში დიონისე ასე ფიქრობს [14, გვ. 90]. არაბები *ვეფხისტყაოსანში* ეკუთვნიან სულის კატეგორიას, ისინი ადამიანები არიან. პლოტინის შეხედულებები სულის შესახებ ოდნავ განსხვავებულია და განხილული იქნება ქვემოთ [19, გვ. 52, 73].

დიონისეს მიხედვით, ცხოველებიც აზროვნებენ, მაგრამ ისინი აზროვნებენ გრძნობადი აღქმის საფუძველზე [14, გვ. 71]. ისინი აღიქვამენ და შემდგომ მოქმედებენ, მაგრამ არ განსჯიან რაციონალურად. ისინი აკეთებენ, ჭამენ, ან თავს არიდებენ რაღაცას, მაგრამ რაციონალურად მოფიქრების გარეშე; ანაქრონისტულად რომ ვთქვათ, მოქმედებენ რეფლექსის ან ინსტინქტის საფუძველზე. ინდოელები ამ კატეგორიას ეკუთვნიან: როდესაც ნესტან–დარეჯანს ხვარაზმის პრინცის მოკვლის აზრი მოუვა, ის მოქმედებს დაუყოვნებლივ ისე, რომ არ ფიქრობს შესაძლო შედეგებზე. იგი მიმართავს ტარიელს, რომელიც ასევე რაციონალურად მოაზრების გარეშე მოქმედებს, ქალის ბრძანებით. იგი იქცევა ერთგული ძაღლის მსგავსად, რომელიც ემორჩილება თავის პატრონს და არ მოქმედებს ადამიანის მსგავსად, რომელიც აწონ–დაწონის ხოლმე თავისი მოქმედების შესაძლო შედეგებს.

ნეოპლატონურ იერარქიაში თითოეული არსების გონებრივი აქტივობა შეიცავს მომდევნო, უფრო დაბალი არსების გონებრივ აქტივობას. ე. ი. ცხოველები ფიქრობენ და მათ იციან მხოლოდ გრძნობადი აღქმის საფუძველზე; ადამიანები გრძნობადი აღქმის საფუძველზეც იქცევიან და დამატებით, ლოგიკური ანუ დისკურსიული აზროვნების გზითაც მოქმედებენ. ანგელოზები მოქმედებენ საკუთარი, თანდაყოლილი ანუ აპრიორული ცოდნითა და რაციონალური აზროვნებით, დამატებულით ადამიანების ცოდნასა და აზროვნებაზე და გრძნობით აღქმაზე. ერთის გონებრივი აქტივობა წარმოადგენს ანგელოზების, ადამიანების და ცხოველების მსგავს გონებრივი აქტივობის დამატებას ერთის საკუთარ კრეატიულ ცოდნასა და აზროვნებაზე.

ამ სამ არსებას – გონს, ანუ ანგელოზებს, ადამიანთა სულს, და ცხოველებს შეიძლება ჰქონდეთ ცვალებადი შედგენილობა. ადამიანებს, განსაკუთრებით ფილოსოფოსებსა და თეოლოგებს, შეუძლიათ გახდნენ ანგელოზები, კერძოდ, სანიმუშო სწავლისა და ცხოვრების შედეგად გადავიდნენ სულიდან გონის ჰიპოსტასში, ხოლო ცხოველებს შეუძლიათ ამაღლდნენ ადამიანებამდე [14, გვ. 83], კერძოდ, წვრთნისა ან სწავლების შედეგად. აი, როგორ შეიძლება ავხსნათ ტარიელის ცვლილება: ავთანდილთან საუბრების შემდეგ იგი ამაღლდება ცხოველთა რანგიდან ადამიანთა რანგამდე და ადასტურებს თავის გარდაქმნას იმით, რომ ადგენს უკეთეს გეგმას ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად. პოემის მთელი პირველი ნაწილის განმავლობაში ტარიელის მოქმედება ცხოველის მსგავსია, მოკლებულია დისკურსიულ აზროვნებას და მიჰყვება მხოლოდ ინსტინქტს ან რეფლექსებს, პოემის ბოლოს კი იგი გადაიქცა რაციონალურ ადამიანად.

ზემოთქმული დიონისეს მოძღვრების მიხედვით განმარტავს ტარიელის პიროვნებაში მომხდარ ცვლილებას. პლოტინი განასხვავებს უფრო დაბალ და უფრო მაღალ სულს: უფრო მაღალი სული ხასიათდება რაციონალური, ე.ი. არისტოტელური, აზროვნებით, ხოლო უფრო დაბალი სული აზროვნებს, როგორც ცხოველი - მხოლოდ გრძნობათა აღქმის საფუძველზე [19, გვ. 52, 73]. პლოტინი ტარიელის ქცევას პოემის დასასრულს გააანალიზებდა, როგორც თავისი უფრო

დაბალი სულის აქტივობის შესუსტებას და მის მიერ თავის უფრო მაღალი სულის გააქტიურებას.

**ბერძნული, არისტოტელური და ნეოპლატონური განსჯა და აზროვნება.** არის თუ არა ეს ნამდვილად ნეოპლატონური კონცეფცია ცხოველისა და ადამიანის აზროვნებისა? იდეას, რომ ცხოველები აზროვნებენ მხოლოდ გრძნობადი აღქმით, ხოლო ადამიანები აზროვნებენ, როგორც გრძნობადი აღქმის, ისე რაციონალური აზროვნების გამოყენებით, ვპოულობთ ალკმეონთან ჯერ კიდევ 500 წ. ჩვ. წ. აღ-მდე [6, 1: 211-212 (A5); 215 (B1a)]. თავის მხრივ არისტოტელეც განიხილავს ცხოველების აზროვნებას, როგორც მხოლოდ გრძნობად აღქმაზე დაფუძნებულს და, მისი აზრითაც, ადამიანები გრძნობადი აღქმის გარდა სარგებლობენ განსჯით [17, გვ. 77-78). აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ *ვეფხისტყაოსანს* და ნეოპლატონიზმს ნამდვილად აქვთ საზიარო იდეა - ადამიანებს გრძნობით აღქმაზე დამატებით აქვთ უნარი ლოგიკური აზროვნებისა, ხოლო ცხოველები აზროვნებენ მხოლოდ გრძნობადი აღქმის საფუძველზე. მაგრამ ეს იდეა ზოგადად ბერძნული ფილოსოფიური აზროვნებისა უფრო იყო, ვიდრე მხოლოდ ნეოპლატონიზმისა. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ *ვეფხისტყაოსანს* თითქოს არაბეთის ან ინდოეთის გონებრივი აქტივობის მისეული რეპრეზენტაცია ნეოპლატონიზმიდან მიეღოს. უფრო სწორი იქნება ჩავთვალოთ, რომ ორივე იზიარებს იდეას, რომელიც ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების ნაწილს წარმოადგენდა.

**ქაჯები.** განსახილველად გვრჩება ქაჯების - მთის იდუმალი ჯადოქრების პრობლემა [16, გვ. 150, 210; 20, გვ. 206]. თუ დავუშვებთ, რომ შოთამ ინდოელები და არაბები გამოიყენა ორი განსხვავებული გონებრივი აქტივობის ილუსტრაციისათვის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქაჯები განასახიერებენ აზროვნების გარკვეულ წესს – იმპულსურ თუ მაგიურ აზროვნებას.

ქაჯების აზროვნების ნიმუშები პოემაში იშვიათად გვხვდება. მეფე ფარსადანის და დავარი ქაჯია და მართლაც იმპულსურია, მაგრამ იგი წარმოშობით ინდოელია; ქაჯი გახდა ქაჯეთში დაქორწინების გამო. ქაჯების უფროსი, როშაქი, რომელმაც ნესტან-დარეჯანი იპოვა, ჩანს, რომ ლოგიკურ

აზროვნებას ამჟღავნებს, – გადაწყვეტს ნესტან-დარეჯანი მონად კი არ გაყიდოს, არამედ გამოიყენოს თავისი დედოფლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

აქედან გამომდინარე, ქაჯები არ ჩანან იმპულსურნი. ამგვარად, ასახსნელად გვრჩება მათი მეორე მახასიათებელი – გრძნეულება. ნეოპლატონიზმი ჯადოქრობას ანუ "თეურგიას" სერიოზულად ეკიდებოდა. ნეოპლატონიკოსებისათვის ეს იყო ნორმალური გზა შედეგების მისაღებად [19, გვ. 3]. მართალია, სერიოზული ფილოსოფოსები არ ჯადოქრობდნენ, მაგრამ მათ შეეძლოთ, თუ მოინდომებდნენ. თუ მათ ეს არ უნდოდათ, ეს იმიტომ, რომ მათი აზრით ფილოსოფიური კვლევა და დისციპლინირებული ცხოვრება უკეთეს შედეგებს იძლეოდა [19, გვ. 71-72]. მაგრამ ჯადოქრობა ზოგადად მიღებული იყო და იგი მხოლოდ ნეოპლატონური კონცეფცია არ იყო [19, გვ. 15]. ასე რომ, ისევ იგივე ჩანს, ნეოპლატონიზმისა და *ვეფხისტყაოსნის* საერთო მახასიათებელი ჯადოქრობა ზოგადი კულტურული კლიმატის ნაწილი უფრო შეიძლება იყოს, ვიდრე მინიშნება ნეოპლატონური გავლენისა *ვეფხისტყაოსანზე*.

**ხატაელთა დამარცხება**. თუ ტარიელი ცხოველის ინტელექტიდან ადამიანის ინტელექტამდე პოემის ბოლომდე არ მაღლდება, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ მის მიერ ხატაელებზე გამარჯვება *ვეფხისტყაოსნის* პირველ ნაწილში, როცა იგი, როგორც ჩანს, საპირისპიროდ ცხოველისა ამჟღავნებს ნათელ ლოგიკურ და მაშასადამე ადამიანურ აზროვნებას (ეს შეკითხვა დაისვა [შ. გაბესკირია] ამ საკითხის განხილვისას მეექვსე საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე. [იხ. 8; 10].

ჩემს ადრინდელ მოხსენებაში გამოთქმული იყო აზრი, რომ *ვეფხისტყაოსანში* წარმოდგენილია ადამიანის ბუნების ანალიზი ლეოპარდის[1] ადამიანებთან შედარებით. ლეოპარდი დანახულია, როგორც ცხოველი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ადამიანებს: ორივე მონადირეა და მებრძოლი. მსგავსება ლეოპარდებსა და ადამიანებს შორის გვაიძულებს ვიკითხოთ, თუ რაშია განსხვავება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა

---

[1] სტატიაში რუსთაველის პოემის *ვეფხი ლეოპარდის* სახელით მოიხსენიება (რედაქტორი).

არის ადამიანად ყოფნის არსი. იმ მოხსენებაში დასკვნა იყო გაკეთებული, რომ *ვეფხისტყაოსანში* ადამიანებს - სინამდვილეში მხოლოდ მომწიფებულ ადამიანებს - ძალუძთ აკონტროლონ თავიანთი ემოციები, ხოლო ლეოპარდებს ეს არ ძალუძთ. სხვა მხრივ ისინი მსგავსნი არიან [2, გვ. 40-41]. ამით აიხსნება ის, რომ *ვეფხისტყაოსანში* გმირები ბრძოლაში პოზიტიურად და მოწონებით არიან შედარებული ლეოპარდთან; მაგალითად, მაშინ, როდესაც ავთანდილი ებრძვის მეკობრეებს. აქედან გამომდინარე, ომი და ნადირობა დანახულია როგორც ასპარეზები, სადაც ცხოველად, ან უფრო სწორად, ლეოპარდად ყოფნა მოწონებულია. ნადირობის ან ბრძოლის დროს ქართველ კაცებს არ სჭირდებათ ემოციის კონტროლი და შეუძლიათ ცხოველებს ჰგავდნენ. ამავე დროს ეს იმასაც გვიხსნის, თუ რატომაა ნესტან-დარეჯანი მიმსგავსებული ლეოპარდს ეჭვიანობის სცენაში [20, გვ. 92]. გაშმაგების დროს მას არ ძალუძს მოთოკოს საკუთარი ემოციები კონსტრუქციულად. მაგალითად, მას შეეძლო ეთქვა მშობლებისათვის ან ხვარაზმის პრინცისთვის, რომ ტარიელი უყვარს, ან შეეძლო გაპარულიყო მასთან ერთად. ამიტომაც ჰგავს იგი ლეოპარდს: იგი ვერ აკონტროლებს ემოციებს. ნესტანის შემთხვევაში კი ემოციური კონტროლის უქონლობა სოციალურად გაუმართლებელია, იგი გამართლებულია მხოლოდ ნადირობასა და ომში. ეს გარემოება იმასაც აგვიხსნის, თუ რატომ აცვია ტარიელს ლეოპარდის ტყავი მაშინ, როცა იგი ვერ აკონტროლებს თავის ემოციებს: იმ დროს, როდესაც იგი ნესტან-დარეჯანის დაკარგვას უზომო ემოციით დასტირის, იგი წარმოდგენილია ლეოპარდის ტყავში ჩაცმულად. მაგრამ როდესაც მოთოკავს თავის ემოციებს, შეწყვეტს დანაკარგის დატირებას და საკმარის თვითკონტროლს შეიძენს, რათა იმოქმედოს კონსტრუქციულად მოქმედებისთვის და მის გასათავისუფლებლად ყველაზე უკეთეს გეგმას შეიმუშავებს, მისი ლეოპარდის ტყავი უკვე აღარ იხსენიება.

ლევი-სტროსთან ვხვდებით მსგავსი ტიპის ანალიზს სამხრეთ ამერიკის ინდიელთა მითებისა: იაგუარი, მსგავსად ლეოპარდისა ქართულ კულტურაში, განიხილება როგორც ცხოველი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ადამიანს. განსხვავება ისაა, რომ ადამიანს აქვს ცეცხლი, ხოლო იაგუარს არა; სხვა მხრივ ისინი მსგავსნი არიან [11, გვ. 132]. სამხრეთ

ამერიკის ინდიელთა მითები ადამიანებს უყურებენ, როგორც იაგუარებს, რომელთაც ცეცხლი აქვთ. ქართველები კი ხედავენ მათ როგორც ლეოპარდებს, რომელთაც თვითკონტროლი გააჩნიათ.

მაშასადამე, ქართულ კულტურაში ომი გაანალიზებულია, როგორც ცხოველთა აქტივობა, რაც ქართველებს ნადირობასთან ერთად, საზიარო აქვთ ლეოპარდთან. იგი არაა მიჩნეული მეორეხარისხოვან საქმიანობად. ზოგიერთ საზოგადოებაში „ცხოველს" შეიძლება დამამცირებელი მნიშვნელობა ჰქონდეს. თუმცა ომი და ნადირობა ისეთი საქმიანობებია, რომელნიც გარანტიას იძლევიან ქართული საზოგადოების გაგრძელებისა და, როგორც აბაევი მიუთითებს, ქართველისთვის ქათინაურია მისი ლეოპარდთან შედარება [1, გვ. 311]. ნადირობა და ბრძოლა განიხილება, როგორც ცხოველური აქტივობა და ადამიანები ამჟღავნებენ ზოგიერთ ცხოველურ თვისებას: მაგალითად, ცხოველების მსგავსად, იბადებიან და კვდებიან.

მაშასადამე, *ვეფხისტყაოსანში* ტარიელის გამარჯვება ხატაელებზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცხოველური მენტალური აქტივობა, აქტივობა თვითკონტროლის გარეშე. იგი დაინახება, ანაქრონისტულად თუ ვიტყვით, როგორც რაღაც რეფლექსის ან ინსტინქტის მსგავსი ქმედება. მეორეს მხრივ, ტარიელის გეგმა ნესტან–დარეჯანის დასახსნელად შეიცავს ადამიანებისათვის დამახასიათებელ დისკურსიულ ანუ ლოგიკურ აზროვნებას: ტარიელი აანალიზებს ორ განსხვავებულ გეგმას, რომელთაგან თითოეულს მივყავართ განსხვავებულ შედეგთან, და მოჰყავს არგუმენტები მისთვის სასურველი შედეგისათვის. ამით დასტურდება, რომ იგი ადამიანური ინტელექტის დონემდე ამაღლებულა.

XXI საუკუნეში ჩვენ ომის განსხვავებული გაგება გვაქვს. მაგრამ ომის კონცეფცია *ვეფხისტყაოსანში* არ არის სპეციფიკური: ძველი სკანდინავიელების გაშმაგების კონცეფციაში მსგავსი იდეა ჩანს.

პლოტინი ლოგიკური ან დისკურსიული განსჯისგან თავისუფალ გრძნობად აღქმას მიიჩნევს ცხოველების და დაბალი სულის მახასიათებლად [20, გვ. 52, 73]. იგი დაახასიათებდა ტარიელს და ინდოელებს როგორც ადამიანებს, რომელთა უფრო დაბალი სული დომინირებდა მანამდე, სანამ

*ვეფხისტყაოსნის* ბოლოს ტარიელმა არ შეძლო თავისი უფრო მაღალი სულის გამოყენება. დიონისეს იერარქიულ სისტემაში ინდოელები ტარიელთან ერთად ცხოველთა კლასში მოექცეოდნენ, *ვეფხისტყაოსნის* ბოლოს ტარიელი ადამიანთა რანგამდე არ ამაღლებულა. დასავლელები შეიძლება აფასებდნენ ომის წარმოების ინტელექტუალურ ასპექტებს; *ვეფხისტყაოსანში* კი ომი არის აქტივობა, სადაც კაცობრიობის უკონტროლო ცხოველური ბუნება სასარგებლოა და ამდენად მისაღებია.

**ქალები, მამაკაცები და ცხოველები.** მომწიფებული ქალები, ისევე როგორც მომწიფებული მამაკაცები, *ვეფხისტყაოსანში* ხასიათდებიან ემოციური კონტროლის უნარით. გარდა ამისა, ქალები, მიუხედავად იმისა, მომწიფებული არიან თუ არა, წარმართავენ მოქმედებას ძირითადი გმირებისა, ნურადინ ფრიდონის გამოკლებით, და ამყარებენ კონტაქტებს ამ გმირებს შორის. როგორც ავთანდილი, ისე ტარიელი *ვეფხისტყაოსნის* პირველ ნაწილში ასრულებენ თინათინისა და ნესტან–დარეჯანის ბრძანებებს. გარდა ამისა, ავთანდილი ტარიელს გაიცნობს ჯერ თინათინის და შემდეგ ასმათის ძალისხმევით. ასევე ნესტან–დარეჯანი შეხვდება მის გამათავისუფლებლებს ფატმანის მოქმედების შედეგად.

**დასკვნა.** *ვეფხისტყაოსანსა* და ნეოპლატონიზმს საზიარო აქვთ ორი ძირითადი იდეა: ჯადოქრობა და ის თვალსაზრისი, რომ ადამიანები აზროვნებენ ლოგიკურად, ხოლო ცხოველების აზროვნება მხოლოდ გრძნობად აღქმაზეა დაფუძნებული. თუმცა, ეს საერთო ელემენტი შეიძლება უფრო გამოწვეული იყოს ზოგადი ბერძნული კულტურის კლიმატით, ვიდრე *ვეფხისტყაოსანზე* ნეოპლატონიზმის გავლენით. ინდოელები და არაბები შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამოხატულება არისტოტელეს კონცეფციისა ადამიანისა და ცხოველის აზროვნებისა და განსჯის უნარზე. ამავე დროს *ვეფხისტყაოსანში* ჩანს სპეციფიკური და არანეოპლატონური ნიშანიც: უკუკავშირი. იმ დროს, როდესაც პოემის პირველ ნაწილში ჩვენ ვპოულობთ ტიპურ ნეოპლატონურ ცალმხრივ გადაცემას იდეებისა - თინათინიდან ავთანდილზე და ავთანდილიდან ტარიელზე, მეორე ნაწილში ვხედავთ უკუკავშირის მაგალითებს: ავთანდილი აუმჯობესებს

თინათინის თავდაპირველ აზრს და მიიჩნევს რა, რომ ტარიელის ვინაობის დადგენა საკმარისი არ არის, საჭიროდ თვლის აგრეთვე ნესტან-დარეჯანის მოძებნას. ეს უკუკავშირი შეწყნარებულია თინათინის მიერ. მსგავსად ამისა, ტარიელი ნესტანის გასათავისუფლებლად ავთანდილის მიერ წამოყენებულ გეგმასთან ამყარებს უკუკავშირს, რაც ასევე მოწონებულია ავთანდილის მიერ. უკუკავშირის არსებობა *ვეფხისტყაოსანს* ხდის თანამედროვე პოემად და „წარმოაჩენს ახალი სამყაროს მსოფლმხედველობას" [9, გვ. 28], მიუხედავად იმ ნიშნებისა, რომელიც მას საზიარო აქვს ნეოპლატონიზმსა და ბერძნულ კულტურასთან.


მითითებული ლიტერატურა:

1. Abaev, V[asilii] I[vanovich]. "O fol'klornoi osnove poemy Shota Rustaveli *Vitiaz' v barsovoi shkure." Izvestiia Akademii Nauk SSSR, seriia literatury i iazyka,* 25. 4 (July-August 1966): 295-312.

2. Beynen, G. Koolemans. "The Symbolism of the Leopard in the *vepxist'q'aosani." The Annual of the Society for the Study of Caucasia.* No 2 (1990). 33-42. Translated as "vepxis simbolika *vexist'q'aosanshi." mamuli,* no. 9 (41) (May 1991): 3-4. Ketevan Vashaq'madze & Mak'a Nach'q'ebia, trans.

3. Beynen, G. Koolemans. "Adultery and Death in Shota Rustaveli's *The Man in the Panther Skin." Courtly Arts and the Art of Courtliness: Selected Papers from the Eleventh Triennial Congress of the International Courtly Literature Society.* Keith Busby & Christopher Kleinhenz, eds. Rochester, NY: Brewer, 2006. 219-36. (Translated in *kartvelologi/The Kartvelogist*, no. 13, 34-58).

4. Beynen, G. Koolemans. 2011a. "The Evolution of Courtliness in Shota Rustaveli's *The Man in the Panther Skin*: From Neoplatonism to Modernity." Accepted for publication in *Cultures courtoises en movement*, Isabelle Arseneau & Francis Gingras eds. Montreal, Les Presses de l'Université de Montreal, 2011.

5. Beynen, G. Koolemans. 2011b. "Abdication, Altruism and Generosity in Shota Rustaveli's *The Man in the Panther Skin." Proceedings of the Fifth International Symposium on Kartvelian Studies*, Elguja Khintibidze & Arrian Tchanturia, eds. 150-62.

6. Diels, H. and W. Kranz, 1951, *Die Fragmente der Vorsokratiker*, Vols I-III. 6th edition, Dublin and Zürich: Weidmann, 1985.

7. Elbakidze, Maka. "On the Definition of Vepkhistkaosani's *[The Knight in the Panther's Skin]* Genre." *Litinfo: Georgian Journal of literature*, 3.1 (2009). http://www.litinfo.ge/volume3-issue-1/elbakizemaka.htm. Accessed 12/01/2011.
8. Gabeskiria, Shalva. Question during the discussion of "Arabs and Indians as Neoplatonic Concepts in Shota Rustaveli's *The Man in the Panther Skin.*" Tbilisi, Ivane Javakhisvili State University, November 15, 2011, 10 AM.
9. Khintibidze, Elguja. *Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature.* London: Bennet & Bloom, 2011.
10. Khintibidze, Elguja & Arrian Tchanturia, eds. *Proceedings of the Sixth International Symposium on Kartvelian Studies.* 14-18 November, 2011,. Tbilisi: "Kartvelologi", 2011.
11. Levi-Strauss, Claude. *The Raw and the Cooked: Introduction to a Science of Mythology.* New York: Harper & Row, 1970.
12. Lewis, C[lyde] S[tapleton]. *The Allegory of Love: A Study in Medieval Tradition.* 1936. New York: Oxford UP, 1972.
13. Nelli, Rene. *Les Cathares.* Paris: Marabout-Cultures, Arts, Loisirs, 1972.
14. Perl, Eric D. 2007. *Theophany: the Neoplatonic Philosophy of Dionysius the Areopagite.* Albany, State University of New York Press.
15. Rayfield, Donald. *The Literature of Georgia.* 2nd rev. ed. Richmond, Surr: Curzon, 2000.
16. Stevenson, R[obert] H[orne]., trans. *The Lord of the Panther-skin*, by Shota Rustaveli. Albany, NY: State Univeristy of New York Press, 1977. UNESCO Collection of Representative Works.
17. Taylor, A[lfred] E[dward]. *Aristotle.* 1919. Mineola, NY: Dover, 1955.
18. Vivian, Katharine, trans.. *The Knight in the Panther Skin*, by Shota Rustaveli. London: Folio Society, 1977.
19. Wallis, R[ichard] T. *Neoplatonism*, 2nd ed. By Lloyd P. Gerson. Indianapolis: Hackett Publishing Co., 1995.
20. Wardrop, Marjory Scott, trans. *The Man in the Panther's Skin*, by Shota Rustaveli. 1912. Tbilisi: reprented by Nekeri Publishers, 2005.